

## სსიპ შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

**პროგრამის სახელწოდება:** ქართული ლიტერატურის ისტორია

**მისანიჭებელი კვალიფიკაცია:** ქართული ლიტერატურის ისტორიის მაგისტრი

**პროგრამის მოცულობა კრედიტებით:** 120 კრედიტი

**საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი:** სამაგისტრო პროგრამა განკუთვნილია სტუდენტებისათვის, რომლებსაც მიღებული აქვთ საწყისი საბაკალავრო განათლება ჰუმანიტარულ ფაკულტეტზე და სურთ გააღრმავონ თავიანთი ცოდნა ქართულ ლიტერატურის ისტორიაში. ქართული ლიტერატურის ისტორიის სამაგისტრო პროგრამა მიზნად ისახავს ქართული ლიტერატურის დარგში მაღალი კვალიფიკაციის მქონე სპეციალისტის მომზადებას, რომელსაც ექნება სათანადო ცოდნა და უნარი, სრულყოფილად დაეუფლება ინფორმაციას ქართული ლიტერატურის განვითარების შესახებ. პროგრამის აქტუალობას განსაკუთრებით ხაზს უსვამს არა ცალკე ლიტერატურის რომელიმე პერიოდის ცოდნის გაღრმავება, არამედ ზოგადად ლიტერატურის ისტორიის მაგისტრის კვალიფიკაციის მინიჭება, რომლის ფარგლებში პროგრამა მოიცავს ქართული ლიტერატურის ძირითად კომპონენტთა სინთეზურ კვლევასა და სწავლებას. პროგრამა მიზნად ისახავს მოამზადოს მაგისტრები ქართული ლიტერატურის ისტორიის, ლიტერატურული კრიტიკის დარგში. გამოუმუშაოს მაგისტრანტებს მხატვრული ლიტერატურული ტექსტის პროფესიული კითხვისა და თეორიული კვლევის კულტურა; განუვითაროს მაგისტრანტებს ანალიტიკური აზროვნებისა და პროფესიული წერის (კრიტიკული სტატია, პუბლიცისტური გამოკვლევა, ესსე) შესაძლებლობები, დაუხვეწოს ანალიზის, ინტერპრეტაციისა და დამუკიდებელი კვლევის წარმოების უნარ-ჩვევები; მიმართოს მაგისტრანტების ინტერესი ინტერდისციპლინარული და ინტერკულტურული კვლევებისადმი; სამაგისტრო პროგრამაში შემავალი ცალკეული კურსების მიზანია მაგისტრს, გაუღრმავოს ქართული ლიტერატურის ისტორიის, ლიტერატურული კრიტიკისა და სახისმეტყველების კონკრეტული საკითხების კვალიფიციური ცოდნა და ასევე ქართული ლიტერატურის მსოფლიო კულტურულ მოვლენებთან ურთიერთობის საკითხის შესახებ მისცეს ისტორიული ცოდნა.

აღნიშნული სამაგისტრო პროგრამის კურს-დამ-თა-ვ-რებულს როგორც მკვლევარსა და ლექტორს მუშაობა შეეძლება:

- ჰუმანიტარული პროფილის კვლევით ინსტიტუტებში;
- ნებისმიერ ბიბლიოთეკაში;
- საქართველოს ცენტრალურ არქივსა და სხვა არქივებში, ნებისმიერ მუზეუმში;
- საგამომცემლო ორგანიზაციებში, ჟურნალ-გაზეთების რედაქციებში;
- რადიოსა და ტელევიზიაში რედაქტორად და კონსულტანტად;
- არასამთავრობო და კერძო სტრუქტურებში ექსპერტად;
- ტურისტულ ფირმებში ექსკურსიამძღოლებად და გიდებად

**პროგრამაზე დაშვების წინაპირობა:** საერთო სამაგისტრო გამოცდები, შიდა საუნვერსიტეტო გამოცდები.

ამ სამაგისტრო პროგრამაზე ჩარიცხვის მსურველს უნდა ჰქონდეს ბაკალავრის ხარისხი ჰუმანიტარული მეცნიერების რომელიმე დარგში.

მაგისტრატურაში ჩამბარებელს არ მოეთხოვება არავითარი დამატებითი ინ-ფორმაციის წარმოდგენა სამეცნიერო კონფერენციებსა და ექსპედიციებში მონაწილეობის, ან საზღვარგარეთის უნივერსიტეტებში სტაჟირების შესახებ (თუმცა არსებობის შემთხვევაში მიექცევა გარკვეული ყურადღება, ასეთი წინაპირობები მხოლოდ სასურველია და არა სავალდებულო). ამგვარი გამოცდილების მქონე პიროვნებას უპირატესობა პროგრამაზე ჩაბარებისას მიენიჭება მხოლოდ სხვა ერთნაირ პირობებში.

მაგისტრანტს ასევე მოეთხოვება ინგლისური ენის ცოდნა B2 დონეზე.

უნდა წარმოადგინოთ: ბაკალავრის ხარისხის დიპლომი, სასურველია ინგლისური ენის ცოდნის დამადასტურებელი სერთიფიკატი, პირადობის მოწმობის ასლი, კომპიუტერის ცოდნის სერთიფიკატი

### **სწავლის შედეგი:**

#### **ცოდნა და გაცნობიერება:**

პროგრამის დასრულების შემდეგ მას აქვს ცოდნა ქართული ლიტერატურის მნიშვნელოვანი ტექსტების შესახებ ლიტერატურის პერიოდების მიხედვით. ქართული ლიტერატურის ისტორიას იცნობს მსოფლიო კულტურული მოვლენების პარალელურად, მისი განვითარების გზებს იცნობს მსოფლიო მოვლენების გვერდით, ლიტერატურის მხატვრულ-გამომსახველობით ხერხებს, ლიტერატურულ-საზოგადოებრივ სივრცეში, გაღრმავებული აქვს ბაკალავრის დონეზე მიღებული ცოდნა კვალიფიკაციის შედარებით მაღალ საფეხურზე.

აღნიშნული კურსის დამთავრების შემდეგ ქართული ლიტერატურის მაგისტრი ფლობს ინფორმაციას ქართული სიტყვიერი კულტურის განვითარება-ჩამოყალიბების შესახებ. ქართულ ლიტერატურას ის ეცნობა, როგორც ინტერდისციპლინარულ დარგს ძირითადად შედარებითი ლიტერატურული კვლევის საფუძველზე.

#### **ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი:**

ქართული ლიტერატურის ისტორიის მაგისტრი მიღებული ცოდნით შეძლებს ტექსტის სწორად განმარტებას, დაეუფლება თანამედროვე კვლევების მეთოდებს, შეძლებს კვლევისთვის საჭირო მასალის მოძიებას, საგნობრივი და ინტერდისციპლინარული კომპეტენციების გამომუშავებას. ახალ, გაუთვალისწინებელ და მულტიდისციპლინურ გარემოში მოქმედებას; კომპლექსური პრობლემების გადაწყვეტის ახალი, ორიგინალური გზების ძიებას, მათ შორის, სფეროს ირგვლივ კვლევის დამოუკიდებლად განხორციელება უახლესი მეთოდებისა და მიდგომების გამოყენებით;

#### **კომუნიკაციის უნარი:**

ინფორმაციის მიწოდება ინოვაციური, უახლესი მონაცემების გამოყენებით. შეუძლია დარგობრივი კომუნიკაციის დამყარება პროფესიულ დონეზე აკადემიურ თუ პროფესიულ საზოგადოებასთან ქართულ და უცხოურ ენაზე. საზოგადოებაში კომპეტენტურად, რთული ტექსტების გაგება ყოველგვარი წინააღმდეგობის გარეშე დაუბრკოლებელი საუბარი. თავისი დასკვნების, არგუმენტებისა და კვლევის მეთოდების გამოყენება საინფორმაციო ტექნოლოგიების მიღწევათა გამოყენებით.

#### **დასკვნის უნარი:**

ქართული ლიტერატურის მაგისტრის კვალიფიკაციის მქონე პირს აქვს ინფორმაციის საჯაროდ წარდგენის უნარი, შეუძლია მისი მკაფიოდ დასაბუთება, ექნება სინთეზისა და ანალიზის უნარი, შეუძლია ჩამოაყალიბოს მოსაზრებები, განსაზღვროს პრობლემა და გაანალიზოს გადაჭრის გზები. დამოუკიდებლად ჯგუფის სხვა წევრების შესაძლებლობების გათვალისწინებით დაგეგმოს სამუშაო.

### **სწავლის უნარი:**

მაგისტრატურაში მიღებული ცოდნა, კომპეტენცია და უნარები ქართული ლიტერატურის მაგისტრს საშუალებას აძლევს დამოუკიდებლად წარმართოს თავისი საქმიანობა, სტრატეგიულად და მაღალ დონეზე დაგეგმოს როგორ გააგრძელოს სწავლა და სამეცნიერო მუშაობა სპეციალობის მიხედვით.

### **ღირებულებები:**

საზოგადოებრივი ღირებულებებისადმი თავისი და სხვების დამოკიდებულების შეფასება და ახალი ღირებულებების დამკვიდრებაში წვლილის შეტანა.

**სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა:** სტუდენტის ცოდნა ფასდება შეფასების მრავალკომპონენტური 100 ბალიანი სისტემით, ცენტრალიზებული შეფასების სისტემა, რომელიც ემსახურება სახელმწიფოში ერთგვაროვანი და თავსებადი სისტემის არსებობას.

სასწავლო უნივერსიტეტს აქვს შემუშავებული შეფასების შემდეგი ქულები:

დასწრება \_5 ქულა

შუალედური გამოცდა \_ 25 ქულა

დასკვნითი გამოცდა \_ 30 ქულა

დანარჩენი 40 ქულა გადანაწილდება ცალკეულ კომპონენტ(ებ)ზე თითოეული კურსის ხელმძღვანელის მიერ სილაბუსებში.

შეფასების 100 ქულიანი სისტემა შემდეგი სახით:

#### **ა) ხუთი სახის დადებითი შეფასება:**

ა.ა) (A) ფრიადი \_ მაქსიმალური შეფასების 91% და მეტი

ა.ბ) (B) ძალიან კარგი \_ მაქსიმალური შეფასების 81%–90%

ა.გ) (C) კარგი \_ მაქსიმალური შეფასების 71%–80%

ა.დ) (D) დამაკმაყოფილებელი \_ მაქსიმალური შეფასების 61%–70%

ა.ე) (E) საკმარისი \_ მაქსიმალური შეფასების 51%–60%

#### **ორი სახის უარყოფითი შეფასება:**

ბ.ა) (FX) ვერ ჩააბარა \_ მაქსიმალური შეფასების 41%–50%, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება

ბ.ბ) (F) ჩაიჭრა \_ მაქსიმალური შეფასების 40% და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

სტუდენტი შეფასდება არა მარტო დასკვნითი გამოცდით, არამედ შუალედური შეფასებითაც.

დასკვნით გამოცდაზე უარყოფითი შეფასების მიღების შემთხვევაში სტუდენტს უფლება აქვს გავიდეს დამატებით გამოცდაზე არანაკლებ 10 დღეში.

შეფასების ტიპებია ტესტირება, ზეპირი გამოცდა, წერიტი გამოცდა, კომბინირებული გამოცდები, პრეზენტაცია, სტატია/ესე, ანგარიში (საველე სამუშაო, პრაქტიკის), უწყვეტი შეფასება, თეზისი/საბაკალავრო ნაშრომი

### საბოლოო შეფასების აღწერა

ECTS შეფასება	შეფასების 100 ქულის	შეფასების აღწერა
<b>A</b>	91 _100	<b>ფრიადი.</b> სასწავლო კურსის ყველა კომპონენტის მოთხოვნა ზედმიწევნით არის შესრულებული. სტუდენტი ავლენს საგნის ღრმა ცოდნას, ერუდირებულია, გააჩნია გამორჩეული ლოგიკური და დამოუკიდებელი მსჯელობის უნარი.
<b>B</b>	81 –90	<b>ძალიან კარგი.</b> სასწავლო კურსის ყველა კომპონენტის მოთხოვნა კარგად არის შესრულებული (მცირე ხარვეზებით). სტუდენტი ავლენს საგნის კარგ ცოდნას, ლოგიკურად და დამოუკიდებლად მსჯელობს.
<b>C</b>	71 _ 80	<b>კარგი.</b> სასწავლო კურსის ყველა კომპონენტის მოთხოვნები ძირითადად შესრულებულია. სტუდენტი ავლენს საგნის საკმაოდ კარგ ცოდნას, უმნიშვნელო შეცდომებს უშვებს დამოუკიდებლად მსჯელობისას.
<b>D</b>	61 _ 70	<b>დამაკმაყოფილებელი.</b> სასწავლო კურსის მოთხოვნების შესრულების ხარისხი დამაკმაყოფილებელია (მნიშვნელოვანი ხარვეზებით). სტუდენტი ავლენს საგნის საშუალო დონის ცოდნას. შეზღუდულია შესაბამისი თემატიკის ირგვლივ დამოუკიდებელი მსჯელობისას. .
<b>E</b>	51 _ 60	<b>საკმარისი.</b> სასწავლო კურსის მოთხოვნები შესრულებულია მინიმალურად. სტუდენტი ავლენს საგნის ცოდნას საკმაოდ შეზღუდულ ფარგლებში. დამოუკიდებლად მსჯელობისას უშვებს ბევრ უზუსტობას.
<b>FX</b>	41 _ 50	<b>ვერ ჩააზარა.</b> სასწავლო კურსის მოთხოვნები შესრულებულია მინიმალურად. სტუდენტი ვერ ავლენს საგნის თეორიულ ცოდნას. პრაქტიკულად ვერ მსჯელობს საგნის საკითხების შესახებ.
<b>F</b>	0 _ 40	<b>ჩაიჭრა.</b> მიუხედავად გამოცდაზე დაშვებისა (დაგროვილი აქვს სილაბუსით განსაზღვრული წინასაგამოცდო ქულა) სტუდენტმა კრედიტის მიღებისათვის თავიდან უნდა გაიაროს სასწავლო პროგრამა.

